დადგენილება:**დ-19. 19262736**
თარიღი:**30/09/2026**

დადგენილება №18

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №16 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04/06/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016582) და:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

დამტკიცდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციის სამსახურის დებულება“ დანართის შესაბამისად.“.

3. დადგენილების დანართის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციის სამსახურის დებულება“;

ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში – მერია) სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საკითხების შესწავლას, დამუშავებასა და მერისთვის წარდგენას.“;

გ) მე-3 მუხლიდან ამოღებული იქნეს „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნქტები;

დ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება საჯარო მოხელეებისგან და მეორადი სტრუქტურული ერთეულისგან – განყოფილებისაგან.

2. სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულია „წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საორგანიზაციო საკითხების განყოფილება.“;

ე) მე-6 და მე-7 მუხლები ამოღებული იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი ოქტომბრიდან.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი